

კრეატიულობისა და პროფესიების ურთიერთმიმართების
კვლევა სტუდენტებში

გიორგი ფირცხალაიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან მირცხულავა, ასოცირებული
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია სტუდენტებში სხვადასხვა არჩეული პროფესიებისა და კრეატიულობის ურთიერმიმართების თეორიულ-ემპირიული შესწავლა, მათ შორის დადგენილი კავშირების, კრეატიულობის მაჩვენებლებს შორის სხვაობის ანალიზი და შემოქმედებითი პროცესებისა და კრეატიულობის განსხვავებული გაგების თეორიული განხილვა. კვლევაში გამოყენებულია ტორენსის კრეატიულობის ვერბალური და არავერბალური ტესტები. ცდისპირები იყვნენ სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტებიდან, ბიზნესის ადმინისტრირება და მენეჯმენტი, ხელოვნება, ფსიქოლოგია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა. კვლევის შედეგად გამოვლინდა კრეატიულობასა და სტუდენტების არჩეულ სპეციალობებს შორის კავშირი და არავერბალური და ვერბალური ტესტების შედეგებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა. ვერბალურ ტესტში ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენეს ფსიქოლოგიის, ხოლო არავერბალურ ტესტში ხელოვნების მიმართულების სტუდენტებმა. გენდერული ნიშნით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ გამოვლინდა. კვლევის შედეგები შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს განათლების პოლიტიკის დაგეგმვისთვის და მისი ცვლილებისთვის, როგორც საუნივერსიტეტო ისე სახელმწიფო დონეზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კრეატიულობა, პროფესია, განათლების პოლიტიკა.

Abstract

The aim of the study is to research theoretical and empirical relationship between professions chosen by students and creativity, to find out established connection between them, to measure and analyze creativity ratio differences, to discuss creativity process and different understandings of creativity. The research is based on Torren's verbal and nonverbal tests. Test objects were students from various faculties: Business Administration and Management, Art, Psychology, Natural sciences. Study showed that there is statistically significant difference between the results from verbal and nonverbal tests when measuring relationship between creativity and chosen profession. The students from faculty of psychology got the highest results in verbal test; in nonverbal test, students from faculty of arts got the highest results. There was no statistically significant differences observed based on gender study. The results of this research could be important for planning and modification of educational policy on university or even on country level.

Key words: creativity profession, education politics.